ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 140(7247) | 18 ივლისი 2024 წ. ხუთშაბათი | ფასი 50 თეთრი

## ESPN-მა გიორგი მამარდაშვილი ევრო-2024-ის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა



2 გვ.

## ბათუმის დინამო ჩემპიონთა ლიგას პირველი რაუნდიდან გამოეთიშა და კონფერენს ლიგაზე გადაინაცვლა



დინამო ბთ. 1:0 ლუდოგორეცი (1:3)

## გიორგი მიქაუტაძე ლიონში ჩავიდა, მაგრამ ტრანსფერი ჯერ-ჯერობით შეფერხდა

გიორგი მიქაუტაძის ტრანსფერი „ლიონში" ჩაშლის პირასაა. მართალია, ქართველი ფორვარდი გუშინ ლიონში სამედიცინო შემოწმების გასავლელად ჩავიდა, მაგრამ ჟურნალისტ ანჟელო სალემის ცნობით, ეს არ მოხდა.



„ლიონი" მზადაა, „მეცს" ახლავე გადაუხადოს 18 მილიონი ევრო, მაგრამ ტრანსფერს მიქაუტაძის აგენტი ალენ მილიაჩო აფერხებს, რომელსაც თავისი კლიენტის „მონაკოში" გადაყვანა სურს. მონეგასკები კი, „ლიონისგან" განსხვავებით, მზად არიან, თანხა ტრანშებად დაფარონ.

ერთი სიტყვით, სიტუაცია ბუნდოვანია, მაგრამ ნებისმიერ მომენტში შეიძლება, სწრაფად შეიცვალოს.

## Il Mattino: ნაპოლი ხვიჩა კვარაცხელიას სხვა გუნდში არ უშვებს



8 გვ.

## Flashscore-მა ევრო-2024-ზე საქართველოს ნაკრები გამოარჩია: საუკეთესო მატჩი და ტურნირის სასიამოვნო მომენტი



4 გვ.

## სანდრო მამუკელაშვილი სან ანტონიოში კიდევ 1 წლით რჩება

იხილეთ მე-3 გვ.



## ბათუმის დინამო ჩემპიონთა ლიგას პირველი რაუნდიდან გამოეთიშა და კონფერენს ლიგაზე გადაინაცვლა

### დინამო ბთ. 1:0 ლუდოგორეცი (1:3)

**გოლი:** მამუჩაშვილი 3
**დინამო ბთ.:** სილვა, ჩიტეიშვილი (46. მალი), კობახიძე, ხარაბაძე, ვანდერსონი, მამუჩაშვილი, ალეფ სანტოსი, ჟან ვიქტორი (63. მარა), ლუდუშაური (90. ფაჩულია), ბლესა (72. ტამბედუ), გომისი
**ლუდოგორეცი:** პადტი, ვიტრი, ალმეიდა, სონკო სუნდბერგი, სონი, პედრო ნერესი, ჩოჩევი, პიოტროვსკი (84. დუარტე), ტეკპეტეი (90+3. ვერდონი), რვან სეკო, რიკი (77. კაიო ვიდალი)
**გაფრთხილება:** პედრო ნერესი 45+4, ტეკპეტი 49, რიკი 66, ვიტრი 68, პიოტროვსკი 83

**კუთხური: 5/1 ; ჯარიმა: 12/19**

„დინამო ბათუმი" ჩემპიონთა ლიგას პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოეთიშა.



ბულგარეთის ჩემპიონ „ლუდოგორეცთან" სტუმრად პირველი მატჩის 1:3 წაგების შემდეგ, „დინამომ" საპასუხო შეხვედრა საკუთარ მოედანზე 1:0 მოიგო, მაგრამ შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა და ახლა, კონფერენსლიგაზე გადაინაცვლებს.

ბათუმელებმა მატჩი საუცხოოდ დაიწყეს და მე-3 წუთზე ...ლიერი დარტყმით ანგარიში მამუჩაშვილმა გახსნა. მან 6 წუთში მე-2 გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა შეცდომა დაუშვა, ჯარიმა დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა.

მასპინძლებს შესვენებამდეც და მეორე ტაიმშიც არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენეს და ძალზე დასანანი შედეგი მივიღეთ. აშკარად გამოჩნდა, რომ „ლუდოგორეცი" დაუძლეველი ბარიერი სულაც არ იყო.

ახლა, „დინამო ბათუმი" კონფერენსლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს, სადაც 25 ივლისს მონტენეგროს ჩემპიონ „დეჩიჩს" დაუპირისპირდება.

### კონფერენსლიგის მე-2 საკვალიფიკაციოს 2 საგზურის მოლოდინში

დღეს კონფერენსლიგის საპასუხო მატჩებია

*თბილისი „მიხეილ მესხი" 21:00*

**დინამო თბ. VS მორნარი(მონტ.) (I მატჩი 1:2)**

*ტირანა „აირ ალბანია სთედიუმ" 22:00*

**ტირანა VS ტორპედო ქ. (I მატჩი 1:1)**

დღეს, 2 ქართული კლუბი კონფერენს ლიგაზე პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებს გამართავს. „დინამო თბილისი" მონტენეგროს „მორნარ ბარს" უმასპინძლებს, ხოლო ქუთაისის „ტორპედო" ალბანეთში „ტირანას" ესტუმრება.

პირველი შეხვედრების ანგარიშებიდან გამომდინარე, მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი თბილისელებსაც აქვთ და ქუთაისელებსაც.

ერთი კვირის წინ, „დინამომ" მონტენეგროში თავისი მატჩი 1:2 დათმო. მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ და მე-4 დამატებულ წითზე ნიკოლოზ უგრეხელიძემ ერთი გოლი გაქვითა.

„ტორპედო" პირველ მატჩში „ტირანას" შინ დაუზავდა - 1:1. მასპინძლები ავტოგოლით 1:0-ს იგებდნენ და სამწუხაროდ, გამარჯვება ხელიდან ბოლო წუთებზე გაუშვეს.

თბილისის „მიხეილ მესხის" არენაზე „დინამოს" მატჩი „მორნართან" 21:00 საათზე დაიწყება, ხოლო „ტორპედოსა" და „ტირანას" შეხვედრა „აირ ალბანია სთედიუმზე" - 22:00 საათზე.

## ESPN-მა გიორგი მამარდაშვილი ევრო-2024-ის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა



მართალია, გიორგი მამარდაშვილი უეფას ვერსიით, ევრო-2024-ის სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდა და ბევრისთვის მოულოდნელად, ორგანიზაციამ საფრანგეთის ნაკრების კიპერი მაიკ მენიო გამოარჩია, მაგრამ მამარდას ბრწყინვალე თამაში განვლილ ევროზე, დაუფასებელი ნამდვილად არ დარჩენილა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ცნობილმა სტატისტიკურმა ვებგვერდმა WhoScored.com-მა გიორგი ევროპის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში უმაღლესი შეფასებით შეიყვანა. გუშინ, კი, ავტორიტეტულმა პორტალმა ESPN-მა ევრო-2024-ის სიმბოლური ნაკრების საკუთარი ვერსია გამოაქვეყნა და კარში სწორედ მამარდა დგას.

ESPN-მა სიმბოლურისთვის 4-2-3-1 სათამაშო სქემა გამოიყენა.

*მეკარე:* გიორგი მამარდაშვილი (საქართველო)

*მცველები:* ჟიულ კუნდე (საფრანგეთი), ანტონიო რუდიგერი (გერმანია), იაკა ბიიოლი (სლოვენია), ნუნო მენდეში (პორტუგალია)

*ცენტრალური ნახევარმცველები:* როდრი (ესპანეთი), ტაიანი რეინდერსი (ნიდერლანდები)

*შემტევი ნახევარმცველები:* ლამინ იამალი, ნიკო უილიამსი (ორივე ესპანეთი), არდა გიულერი (თურქეთი)

*თავდამსხმელი:* ნიკლას ფულკრუგი (გერმანია).

## კილიან მბაპე ფლორენტინო პერესზე: მსოფლიოს საუკეთესო პრეზიდენტია, რომელიც მე და ჩემ ოჯახს თავიდანვე გვეხმარებოდა

მადრიდის „რეალის" ახალწვეულმა ვარსკვლავმა კილიან მბაპემ კლუბის პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა:

— ფლორენტინო ჩემ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი ადამიანია, რომელიც მე და ჩემ ოჯახს პირველივე დღიდან გვეხმარებოდა. მას გულითად მადლობას ვუხდი და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ის ჩემით კმაყოფილი იყოს. პერესი მსოფლიოს საუკეთესო პრეზიდენტია...



— „რეალის" ყველა მატჩს ძმებთან ერთად ვუყურებდი, ახლა კი, ჩემი დრო დადგა - „რეალ მადრიდის" ფეხბურთელი ვარ. ყოველთვის ვიცოდი, რომ ამას მივაღწევდი, — განაცხადა მბაპემ.

„სამეფო კლუბში" უკვე გადაწყვიტეს, რომ ფრანგ ფეხბურთელს ცხვირზე ოპერაციას არ გაუკეთებენ. გატეხილი ცხვირის დეტალური შემოწმების შემდეგ, კლუბში გადაწყდა, რომ ქირურგიული ჩარევა უნდა გადაიდოს. მბაპე კლუბის ბაზაზე პარტნიორებთან ერთად ვარჯიშს ნიღბის გარეშე 7 აგვისტოს დაიწყებს. ვარაუდობენ, რომ მას ოპერაცია არ დასჭირდება, მაგრამ ყველაფერი შემდგომ ტესტებზეა დამოკიდებული.

# სანდრო მამუკელაშვილი სან ანტონიოში კიდევ 1 წლით რჩება




საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მძიმე ფორვარდი სანდრო მამუკელაშვილი კარიერას კვლავ „სან ანტონიო სპურსში" გააგრძელებს. ამის შესახებ ინფორმაციას ESPN-ის ავტორიტეტული ინსაიდერი ედრიან ვოინაროვსკი ავრცელებს.

სანდრომ „სპურსთან" ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც 2,2 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის ქართველ კალათბურთელს „სპურსთან" ხელშეკრულება გასული სეზონის ბოლოს ამოეწურა, თუმცა, კლუბმა მისი შენარჩუნება გადაწყვიტა.

მამუკელაშვილი „სან ანტონიოს" შემადგენლობაში 2 სეზონის განმავლობაში თამაშობდა. მისი საშუალო მაჩვენებლები 5,1 ქულა, 4,2 მოხსნა და 1,5 პასია. თამაშიდან ტყორცნების სიზუსტე სანდროს 46,2% ჰქონდა. იგი პარკეტზე მეტწილად, სათადარიგოთა სკამიდან გადიოდა. თუმცა, გუნდის მთავარი მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი გასული სეზონის დასკვნით მონაკვეთში თავის გამოჩენის მეტ შანსს აძლევდა და სანდროსაც კარგი სტატისტიკა ჰქონდა. კონკრეტულად ბოლო 8-მატჩიან მონაკვეთში მისმა საშუალო მონაგარმა 11,5 ქულა და 9,7 მოხსნა შეადგინა.

# ალექსანდრე ფეიქრიშვილი კარიერას კიევის დინამოში გააგრძელებს

„დინამო თბილისი 2"-ისა და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველი ალექსანდრე ფეიქრიშვილი კიევის „დინამოში" გადავიდა.

ლეგენდარულმა უკრაინულმა კლუბმა თბილისის „დინამოს" აკადემიის აღზრდილთან 5-წლიანი კონტრაქტის გაფორმების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა.




ფეიქრიშვილს „დინამო 2"-ში ჩატარებულ 28 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი.

– ალექსანდრე ფეიქრიშვილი უნივერსალური ფეხბურთელია, რომელსაც თამაში როგორც კლასიკური ცენტრალური ჰავბეკის პოზიციაზე, ისე შემტევ ნახევარმცველად შეუძლია. იგი საქართველოში მის ასაკში ერთ-ერთ უდიდეს ტალანტადაა მიჩნეული, – წერს კიეველთა პრესსამსახური.

აქვე შეგახსენებთ, რომ კიევის „დინამოსთან" კონტრაქტი კიდევ ერთ ქართველ ფეხბურთელს, გიორგი წიტაიშვილს ამ დრომდე აკავშირებს.

# ალექსანდრე ბაკში ასტანას ჩელენჯერის 1/4 ფინალშია

27 წლის ქართველი ჩოგბურთელი ალექსანდრე ბაკში (622) ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარე 41 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ჩელენჯერის მეოთხედფინალში გავიდა. მან იაპონელი სეიტა ვატანაბე 6:3, 6:1 გაანადგურა.

მომდევნო ეტაპზე ბაკშის მეტოქე 23 წლის უზბეკი ჩოგბურთელი სერგეი ფომინი (582) იქნება.

აქვე გეტყვით, რომ დღეს, მერვედფინალში ითამაშებს კიდევ ერთი ქართველი ჩოგბურთელი, საბა ფურცელაძე (533), რომლის მეტოქე მასპინძელი ამირ ომარხანოვი იქნება.

## ჩემპიონთა ლიგა

*I კვალიფიკაცია II მატჩები*

| | |
|---|---|
| შტრუგა-სლოვანი | 1:2(0:2) |
| | I მატჩი 2:4 |

*(გურამ კაშიამ სლოვანის შემადგენლობაში სრულად ითამაშა. მისი გუნდი მომდევნო ეტაპზე გავიდა)*

| | |
|---|---|
| დიფერდანჟი-კლაკსვიკი | 0:0 |
| | I მატჩი 0:2 |
| დინამო ბთ.-ლუდოგორეცი | 1:0(1:0) |
| | I მატჩი 1:3 |
| პეტროკაბი-ორდაბაზი | 1:0(1:0) |
| | I მატჩი 0:0 |
| ეგნატია-ბორაცი | 2:1(1:4პენ.) |
| | I მატჩი 0:1 |
| ლარნე-რფს | 0:4(0:3) |
| | I მატჩი 0:3 |

## კონფერენსლიგა

*I კვალიფიკაცია II მატჩები*

| | |
|---|---|
| ბ36-აუდა | 0:1(0:0) |
| | I მატჩი 0:2 |
| კრუსადერსი-ქარმართენი | 3:1(7:8პენ.) |
| | I მატჩი 0:2 |

## შოტლანდია

ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ედინბურგი-კლაიდი | 0:5(0:1) |

## ბრაზილია

*სერია-A*

| | |
|---|---|
| ხუვენტუდი-ატლეტიკო მგ. | 1:1(1:1) |
| კორინთიანსი-კრიკიუმა | 2:1(0:1) |

## კოლუმბია

კლაუსურა

| | |
|---|---|
| აქუილასი-ამერიკა დე კალი | 1:2(1:2) |
| დეპ.კალი-პერეირა | 0:2(0:0) |

## მექსიკა

აპერტურა

| | |
|---|---|
| ატლასი-სანტოს ლაგუნა | 1:0(0:0) |
| პაჩუკა-ატლ.სან ლუისი | 2:0(1:0) |
| კერეტარო-ჩივასი | 0:2(0:1) |
| პუებლა-ლეონი | 2:2(1:1) |
| კრუს ასული-ტიხუანა | 3:0(2:0) |

**სუდამერიკანას თასი**

| | |
|---|---|
| უაჩიპატო-რასინგი | 2:3(1:2) |
| როსარიო-ინტერი | 1:0(0:0) |

აზიის ჩემპიონატი *U-19*

| | |
|---|---|
| აღმ.ტიმორი-კამბოჯა | 3:2(3:0) |
| ინდონეზია-ფილიპინები | 6:0(4:0) |

*ევროპის ჩემპიონატი ქალები U-19*

| | |
|---|---|
| სერბეთი-ინგლისი | 1:1(0:0) |
| ლიეტუვა-საფრანგეთი | 0:6(0:4) |

## კალათბურთი

*NBA ლას ვეგასის საზაფხულო ლიგა*

| | |
|---|---|
| დენვერი-შარლოტი | 66:80 |
| დეტროიტი-ჩიკაგო | 85:77 |
| მინესოტა-ფილადელფია | 90:92 |
| პორტლენდი-ვაშინგტონი | 82:80 |
| მილუოკი-კლიპერსი | 97:112 |
| სან ანტონიო-ნიუ ორლეანი | 90:85 |
| დალასი-მაიამი | 79:72 |
| ნიუ იორკი-საკრამენტო | 106:105 |

*ევროსაბკეტი U-20 1/8 ფინალი*

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-გერმანია | 103:78 |
| სლოვენია-ჩრდ.მაკედონია | 82:71 |
| იტალია-პოლონეთი | 63:74 |
| ესპანეთი-მონტენეგრო | 80:45 |
| ისრაელი-საბერძნეთი | 65:68 |
| სერბეთი-ჩეხეთი | 67:72 |
| ბელგია-ისლანდია | 74:73 |
| ლიეტუვა-თურქეთი | 79:63 |

*B-ლიგა*

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ნიდერლანდები | 60:109 |
| ალბანეთი-ესტონეთი | 72:80 |
| ირლანდია-პორტუგალია | 43:73 |
| შვეიცარია-ლატვია | 60:64 |
| მოლდოვა-სომხეთი | 71:81 |
| რუმინეთი-ბულგარეთი | 91:81 |
| სლოვაკეთი-ხორვატია | 66:60 |
| უნგრეთი-შვედეთი | 80:72 |
| უკრაინა-კოსოვო | 67:50 |

*ტესტ-მატჩი*

| | |
|---|---|
| აშშ-სერბეთი | 105:79 |

## რაგბი

***WORLD-U20 Trophy***

ფინალი

| | |
|---|---|
| შოტლანდია-აშშ | 48:10 |

*მე-3 ადგილისთვის*

| | |
|---|---|
| იაპონია-ურუგვაი | 75:22 |

*მე-5 ადგილისთვის*

| | |
|---|---|
| სამოა-ნიდერლანდები | 29:46 |

*მე-7 ადგილისთვის*

| | |
|---|---|
| ჰონგ კონგი-კენია | 34:14 |

## ჩოგბურთი

***ATP-Bastad (Sweden), clay***

| | |
|---|---|
| მონტეირო-რუუდი | 6:3, 6:3 |
| იევსეევი-კარბალესი | 6:2, 3:6, 2:6 |
| კოტოვი-აიდუკოვიჩი | 6:7, 6:3, 3:6 |
| რუბლიოვი-ტირანტე | 6:7, 6:3, 4:6 |

***ATP-Gstaad (Switzerland), clay***

| | |
|---|---|
| ვარილასი-ფონინი | 6:3, 6:7, 5:7 |
| ვან დე ზანდშულპი-ეჩევერი | 2:6, 6:2, 3:6 |
| ციციპასი-მედიედოვიჩი | 7:6, 6:3 |
| შტრუფი-რიდი | 7:6, 7:6 |

***ATP-Hamburg (Germany), clay***

| | |
|---|---|
| დარდერი-შევჩენკო | 6:3, 2:6, 6:3 |
| ბლანშე-მარტინესი | 4:6, 6:0, 5:7 |
| ზვერევი-დე იონგი | 6:2, 6:2 |
| ჩერუნდოლო-მარტერერი | 6:0, 6:2 |
| ლაიოვიჩი-ბაეზი | 6:4, 5:7, 2:6 |

***ATP-Newport (USA), grass***

| | |
|---|---|
| კოვაჩევიჩი-რინდერკნეხი | 6:3, 3:6, 7:5 |
| მიხელსენი-კრეისი | 6:4, 6:4 |
| პარისი-მაკდონალდი | 3:6, 4:6 |
| მანარინო-ოპელკა | 4:6, 6:3, 4:6 |
| ქუინი-ეუბანკსი | 6:7, 6:3, 3:6 |
| ვუკიჩი-სპიზირი | 6:2, 7:6 |

***WTA-Budapest (Hungary), clay***

| | |
|---|---|
| ტიმოფეევა-სასნოვიჩი | 3:6, 4:6 |
| ლამენსი-მონე | 6:4, 6:0 |
| ავანესიანი-მასაროვა | 2:6, 7:5, 6:1 |
| შმეიდლოვა-სორიბესი | 2:6, 6:2, 6:2 |

***WTA-Palermo (Italy), clay***

| | |
|---|---|
| ანდრეევა-სემენისტაია | 6:1, 6:2 |
| რუსი-ბეგუ | 2:6, 5:7 |
| პერი-ტეიხმანი | 6:2, 6:7, 6:2 |
| ნოპა აკუგი-მუჩკოვა | 7:6, 2:6, 3:6 |

# Flashscore-მა ევრო-2024-ზე საქართველოს ნაკრები გამოარჩია: საუკეთესო მატჩი და ტურნირის სასიამოვნო მომენტი



პორტალმა Flashscore-მ განვლილი ევრო-2024-ი შეაჯამა და სხვადასხვა კომპონენტში საუკეთესოები დაასახელა. ჩვენთვის საინტერესო კი ისაა, რომ საქართველოს ნაკრები 2 კომპონენტში გამოარჩია:

***ტურნირის საუკეთესო გუნდი*** - ესპანეთი
***საუკეთესო ფეხბურთელი*** - ლამინ იამალი (ესპანეთი)
***საუკეთესო გოლი*** - ლამინ იამალის გოლი საფრანგეთთან
***ტურნირის ჩავარდნა*** - კრიშტიანო რონალდუ
***ტურნირის საუკეთესო სეივი*** - მერტ გიუნოკი ავსტრიასთან
***ტურნირის საუკეთესო მატჩი:*** თურქეთი 3:1 საქართველო

„დორტმუნდში ძლიერი შტორმის ქვეშ, თურქეთმა და საქართველომ შოუ მოაწყვეს, რომელმაც ჯგუფური ეტაპი გაანათა. ეს იყო მაღალი ტემპი, რამდენიმე საოცარი გოლი და სწორედ ამ მატჩმა გვაგრძნობინა, რომ ევრო დაიწყო. მეორე ადგილზე ავსტრია-ნიდერლანდებია, მესამეზე კი, საფრანგეთი-ესპანეთის ნახევარფინალი."

***ტურნირის სასიამოვნო მომენტი: საქართველო***

„მართალია, საქართველო ფიფას რეიტინგში დაბალ პოზიციაზეა და ევრო-2024-ზე ერთა ლიგის გზით გავიდა, მაგრამ ნაკრებმა მის ისტორიაში პირველ დიდ ტურნირზე საუცხოოდ ითამაშა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველებმა მონაწილეობა მიიღეს ტურნირის საუკეთესო მატჩში, შემდეგ დაამარცხეს პორტუგალია და ჯგუფიდან გავიდნენ, მერვედფინალში კი, ესპანეთს ბრძოლა გაუმართეს. მართალია, მათი გამოსვლა ამ ეტაპზე დასრულდა, მაგრამ მოედანი თავაწეულებმა და აპლოდისმენტების თანხლებით დატოვეს."

# ჯონ ტერი: საუთგეიტი კრიტიკაზე ყოველთვის თავშეკავებით რეაგირებდა



ლონდონის „ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი ჯონ ტერი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გარეტ საუთგეიტის გადადგომას გამოეხმაურა:

– გარეტი კრიტიკაზე ყოველთვის ძალზე თავშეკავებით რეაგირებდა. ბევრი ყოფილი ფეხბურთელი მას და მის გუნდს სერიოზულად და ძალზე მწვავედ აკრიტიკებდა. ეს ფეხბურთელები დიდი ტურნირების მეოთხედფინალზე შორს არ წასულან და აკრიტიკებენ მწვრნელს, რომელმაც წარმოუდგენელი სამუშაო ჩაატარა. დარწმუნებული ვარ, გარეტს პრემიერლიგიდან და სხვა ქვეყნებიდან წინადადებები ექნება, – განაცხადა ტერიმ.

## კეინი და საკა მწვრთნელს თბილად დაემშვიდობნენ

საუთგეიტის წასვლაზე რეაგირება ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმაც მოახდინეს და მათ შორის ყველაზე გამორჩეული ჰარი კეინისა და ბუკაიო საკას მიმართვები იყო.

***ჰარი კეინი:*** ბოს, მადლობა ყველაფრისთვის, რაც ჩემთვის და ჩვენი ქვეყნისთვის გააკეთეთ. ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი ხართ და ჩემთვის პატივი იყო მთელ ამ პერიოდში თქვენი გუნდის კაპიტნობა. ჩვენ ერს გაერთიანებაში დაეხმარეთ და ხალხმა კვლავ ირწმუნა ჩვენი გუნდის.

ბევრი კარგი მომენტი იყო და ჩვენ ერთად შევქმენით მოგონებები, რომლებიც მეხსიერებას სამუდამოდ დარჩება. წარმატებებს გისურვებთ კარიერის მომდევნო ეტაპზე და დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით.

***ბუკაიო საკა:*** გარეტ, დიდი მადლობა ყველაფრისთვის. მუდამ ვიქნები თქვენი მადლობელი, იმ მოგონებებისთვის, რაც მეხსიერებაში დარჩება. მადლობა თქვენი მხარდაჭერისა და საქმიანობისთვის. იმისთვის, რომ ყოველთვის ყველაფერს აკეთებდით ჩემთვის, გუნდისა და ჩვენი ერისთვის. ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

# ატლეტიკო მორატას შემცვლელებად დოვბიკს, ალვარესსა და სორლოტს განიხილავს

მადრიდის „ატლეტიკო" გუნდის ფორვარდ ალვარო მორატას შემცვლელის ძიებაშია. ესპანელი ფეხბურთელი კარიერას „მილანში" გააგრძელებს.

„მარკას" ინფორმაციით, მადრიდელები ამ მომენტისთვის ყველაზე დიდ ინტერესს არტიომ დოვბიკის (ჟირონა), ხულიან ალვარესის (მანჩესტერ სიტი) და ალექსანდრ სორლოტის (ვილიარეალი) მიმართ ავლენენ. ამავე დროს, დოვბიკის ვარიანტი პრიორიტეტულია, რამდენადაც „ჟირონა" სატრანსფერო მოლაპარაკებზე მადრიდელებისთვის მისაღებ ფასზეა თანახმა. საუბარია დაახლოებით 40 მილიონ ევროზე.



კატალონიელებისგან განსხვავებით, „ვილიარეალი" და „მანჩესტერ სიტი" თავიანთ ფორვარდებთან განშორების საკითხში გაცილებით კატეგორიულები არიან, რაც მოლაპარაკებებს ართულებს.

ადრე, „ელ მუნდო დეპორტივო" წერდა, რომ 24 წლის ხულიან ალვარესი „ატლეტიკოსთვის" მორატას შემცვლელის როლში პრიორიტეტული კანდიდატია.

გასულ სეზონში 27 წლის დოვბიკმა ყველა ტურნირზე ჩატარებულ 41 მატჩში 25 გოლი გაიტანა და 10 საგოლე პასი შეასრულა.

# ოიარსაბალმა უნიკალური მიღწევა დააფიქსირა



ესპანეთის ნაკრებისა და „რეალ სოსიედადის" ფორვარდმა მიკელ ოიარსაბალმა, რომელმაც ევრო-2024-ის ფინალში ინგლისთან მატჩში (2:1) გამარჯვების გოლი გაიტანა, უნიკალური მიღწევა დააფიქსირა.

საქმე ისაა, რომ ოიარსაბალმა თავისი კარიერის განმავლობაში 4 ფინალში ითამაშა - ოლიმპიადაზე, ესპანეთის თასზე, ერთა ლიგასა და ევროპის ჩემპიონატზე. ყველა მათგანში მან თავი გატანილი გოლით გამოიჩინა.

# იამალმა ბარსელონაში მესის ძველი ნომერი მიიღო

კატალონიური „ბარსელონას“ ახალგაზრდა ვარსკვლავმა ლამინ იამალმა გუნდში ახალი ნომერი მიიღო. 27-ნომრიანი მაისურის ნაცვლად იგი, 19 ნომრით ითამაშებს.

მთავარ გუნდში თავის პირველ ეტაპზე 19 ნომერი ლიონელ მესის ეკუთვნოდა.

ლამინ იამალი განვლილი ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. მან ტურნირზე 1 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი შეასრულა. ეროვნულ გუნდთან ერთად იგი ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.



# ინგლისის ნაკრებში ბელინგემით იმედგაცრუებულები არიან: ფეხბურთელს გუნდში მეგობრები არ ჰყავს

„ათლეტიკის“ ინფორმაციით, მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ჯუდ ბელინგემი, რომელმაც განვლილ ევრო-2024-ზე 2 გოლი გაიტანა და 1 საგოლე პასი შეასრულა, ინგლისის ნაკრებში თავის პარტნიორებს შორის პატივისცემით არ სარგებლობს.

ცნობის თანახმად, იგივე მასმედიისგან განსხვავებით, ნაკრებში ბელინგემის თანაგუნდელები მას ლიდერად არ მიიჩნევენ. ჯუდს ნაკრებში კარგი ურთიერთობა მხოლოდ ტრენტ ალექსანდერ-არნოლდთან აკავშირებს, მაგრამ მეგობრები არ ჰყავს.



„ათლეტიკი“ იმასაც აღნიშნავს, რომ ნაკრებში ბელინგემსა და ფეხბურთელებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაფუჭდა „ადიდასის“ რეკლამის შემდეგ, სახელწოდებით Hey Jude, რომელიც ლეგენდარული „ბითლზის“ ანალოგიური სახელწოდების მქონე ცნობილი სიმღერის მოტივებზეა შექმნილი. მასში ბელინგემი წარმოდგენილია, როგორც ინგლისის ნაკრების მხსნელი.

ბელინგემთან დაკავშირებით კვლავ ვრცელდება ინფორმაცია, რომ მას მხარზე ოპერაციის გაკეთება მოუწევს. ასეთ შემთხვევაში, ფეხბურთელი 2-3 თვე დაისვენებს და შესაბამისად, მომდევნო სეზონის სტარტს გამოტოვებს.

# კლინსმანმა ფინალში ინგლისის მარცხის მიზეზი განმარტა

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა და მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა განმარტა, თუ რამ განაპირობა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ესპანეთთან ინგლისის 1:2 მარცხი.

— დე ლა ფუენტეს გუნდმა ევროს წინ და ჩემპიონატზეც ყველა მატჩი მოიგო და ამიტომაც, ინგლისელების ვალდებულება იყო, მეტოქისთვის საკუთარი ძალებისადმი რწმენა შეერყიათ. თუმცა, როდესაც განწყობილი ხარ იმისთვის, რომ გოლი არ გაუშვა, შენ ვერასდროს გადართავ სიჩქარეს მომდევნო პოზიციაში. ყველამ იცის, რომ ინგლისი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. მათ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა შეუძლიათ, მაგრამ ეს არაფრის გარანტიას იძლევა. ევროს ფინალი ხელიდან გაშვებული კიდევ ერთი შანსია. ევრო-2024-ის ფინალის შემდეგ, ინგლისელი გულშემატკივრები ძალიან შეწუხდნენ, — განაცხადა კლინსმანმა.



# ფიფამ არგენტინის ნაკრების ფეხბურთელების რასისტულ სიმღერებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

## ენცო ფერნანდესმა საჯაროდ ბოდიში მოიხადა

ფიფამ გამოძიება დაიწყო იმ რასისტულ სიმღერებთან დაკავშირებით, რომლებიც კოპა ამერიკის ფინალის შემდეგ, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელთა შესრულებით ისმოდა.

შეგახსენებთ, რომ სოციალურ ქსელში არგენტინის ნაკრების ნახევარმცველ ენცო ფერნანდესის პირდაპირი ეთერი გავრცელდა, სადაც არგენტინელები ფრანგ ფეხბურთელებს დასცინოდნენ: „ისინი საფრანგეთში თამაშობენ, მაგრამ ყველანი ანგოლიდან არიან“. ასევე მიაყენეს შეურაცხყოფა კილიან მბაპეს, მისი პირადი ცხოვრების გამო.

„ფიფა გაეცნო ვიდეოს, რომელიც სოციალურ ქსელებში ტრიალებს და ინციდენტის გამოძიება დაწყებულია. ფიფა კატეგორიულად გმობს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ის. ფეხბურთელების, გულშემატკივრებისა და ოფიციალური პირების ჩათვლით, — ნათქვამია განცხადებაში.

თავის მხრივ ენცო ფერნანდესმა საფრანგეთის ნაკრების მისამართით შეურაცხყოფების გამო, საჯაროდ მოიხადა ბოდიში:

— მსურს, გულწრფელად მოვიხადო ბოდიში ნაკრების ზეიმის დროს ჩემ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეოს გამო. სიმღერა უკიდურესად შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს შეიცავს და ამ სიტყვებს აბსოლუტურად არანაირი გამართლება აქვს. რასიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგი ვარ და ჩადენილის გამო ბოდიშს ვიხდი. ეს კოპა ამერიკაზე გამარჯვების ეიფორიის ზემოქმედების შედეგად მოხდა. ეს ვიდეო, ეს მომენტი, ეს სიტყვები არ ასახავს ჩემ შეხედულებებს, ან ხასიათს. ძალიან ვწუხვარ, — დაწერა ფერნანდესმა სოცუალურ ქსელში.

ფერნანდესის ბოდიშის შემდეგ კი, ლონდონის „ჩელსიმ“ საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განცხადება გამოაქვეყნა:

„საფეხბურთო კლუბი „ჩელსი“ დისკრიმინაციის ყველა ფორმას აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევს. ვამაყობთ იმით, რომ ვართ მრავალფეროვანი, ინკლუზიური კლუბი, რომელშიც თავს სასურველ სტუმრებად გრძნობენ ყველა კულტურის, საზოგადოების და იდენტობის წარმომადგენლები.

ვაღიარებთ და ვაფასებთ ჩვენი ფეხბურთელის საჯარო ბოდიშს და ამას შემდგომში სწავლების შესაძლებლობად გამოვიყენებთ. კლუბმა შიდა სადისციპლინო პროცედურა დააინიცირა“, — ნათქვამია განცხადებაში.



ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით, ტრავმებით გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში. ტკივილების, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა. საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების გაჯანსაღება.

გახდომა 5-12 კგ-ით თვეში. სიმაღლეში ზრდა 3-25 წლამდე 3-5 სმ-ის მატებით. ინდივიდუალური პროგრამა დანიშნულებები+ვარჯიშები, მრავალპროფილური მასაჟები. პროცედურები 24-წლიანი გამოცდილებით გვაძლევენ საუკეთესო შედეგებს.

ქ-ნი ქეთევანი ტელ.: 595-96-75-55; 2-47-58-83

# იტალიასთან მატჩისთვის უმცროსი ბორჯღალოსნების შემადგენლობა ცნობილია

უმცროსი ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრაში კიდევ ერთხელ ერკინებიან იტალიას და მე-9 ადგილის დაკავებას შეეცდებიან.

თამაში 19 ივლისს, საქართველოს დროით 16:30 საათზე ქეიფ-თაუნში, „ათლონ სპორტ სთედიუმზე" დაიწყება.

ლადო კილასონიას შეგირდები იტალიას ტურნირზე წელს მეორედ ეთამაშებიან. ჯგუფური ეტაპის დასკვნით შეხვედრაში მათ მეტოქე 28:17 დაამარცხეს, 4 ლელოს გატანისთვის ბონუს-ქულაც აიღეს და მესამე ადგილი დაიკავეს, მაგრამ მაინც მე-9 ადგილისთვის მოუწიათ ბრძოლის გაგრძელება, რომლის ნახევარფინალში ფიჯის დრამატულ მატჩში 40:36 მოუგეს. თავის მხრივ, იტალიელებმა ნახევარფინალში ესპანეთს 28:15 აჯობეს.

ფიჯისთან მოგების შემდეგ, მწვრთნელებმა უმცროსი ბორჯღალოსნების შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება და გადაადგილება განახორციელეს. ლუკა ცირეკიძემ მგეზავის პოზიციიდან ფულბეკად გადაინაცვლა, ოთარ მეტრეველი კი, თამაშს ფრთაზე დაიწყებს. მგეზავად თამაშს გელა ხელაძე იწყებს, რომელიც გიორგი სპანდერაშვილს შეუწყვილდება.

ცენტრში ადგილი შეინარჩუნა გიორგი ხაინდრავამ, ლუკა კობაურმა მარქაფაში გადაინაცვლა, მის ნაცვლად კი, ძირითადში ნუგზარ ქევხიშვილი დაწინაურდა. კვლავ სასტარტოა ფრთა ლუკა კეშელავა.

შერკინების ხაზში ერთი ცვლილებაა. დამწყებთა შორის დაწინაურდა კვაჭი თამაზ ჭამიაშვილი. ბურჯები ლუკა უნგიაძე და დავით მჭედლიძე იქნებიან, მეორე ხაზში დავით ლაგვილავა და თემურ წულუკიძე შეწყვილდებიან, ხოლო მესამე ხაზში გიორგი გერგედავას, ანდრო დვალს და ნიკა ლომიძეს ვიხილავთ.

მარქაფაში ერთი ისეთი მოთამაშეა, რომელსაც 20-წლამდელთა ჩემპიონატზე დებიუტი ექნება - ბურჯი ბაჩუკი ბარათაშვილი. შემადგენლობაში დაბრუნდნენ კვაჭი შოთა ხელაძე და მარჯვენა ბურჯი დავით მჭედლიშვილი, ასევე მეორეხაზელი თორნიკე ლანიაშვილი და ხაზის მოთამაშე ლუკა თაყაიშვილი. ამჯერადაც მარქაფაში არიან ლუკა სულუაშვილი და მიხეილ ყაჩლავაშვილი.




**ხაზი:** 15. ლუკა ცირეკიძე (შავი ლომი), 14. ლუკა კეშელავა (არმია), 13. ნუგზარ ქევხიშვილი, 12. გიორგი ხაინდრავა (ორივე ლელო), 11. ოთარ მეტრეველი (აია), 10. გელა ხელაძე, 9. გიორგი სპანდერაშვილი (ორივე ლელო)

**შერკინება:** 1. ლუკა უნგიაძე (ნევერი), 2. თამაზ ჭამიაშვილი (ხარები), 3. დავით მჭედლიძე (ტულონი), 4. დავით ლაგვილავა (გრენობლი), 5. თემურ წულუკიძე (იუნკერები), 6. გიორგი გერგედავა (კლერმონი), 7. ანდრო დვალი (ლელო), 8. ნიკა ლომიძე (ბეიონი, კაპ.)

**მარქაფა:** 16. შოთა ხელაძე (ლელო), 17. ბაჩუკი ბარათაშვილი (აია), 18. დავით მჭედლიშვილი (გრენობლი), 19. თორნიკე ლანიაშვილი (ლელო), 20. ლუკა სულუაშვილი (ორიაკი); 21. მიხეილ ყაჩლავაშვილი (ლელო), 22. ლუკა კობაური (ლეუკატე), 23. ლუკა თაყაიშვილი (ხვამლი).

www.rugby.ge-ს მიხედვით.

## ტიაგო ალკანტარა ბარსელონას სამწვრთნელო შტაბში შევიდა



კატალონიური „ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელი ტიაგო ალკანტარა გუნდის სამწვრთნელო შტაბს შეუერთდა. ამის შესახებ „ბლაუგრანას" ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.

_ 33 წლის ასაკში კარიერის დასრულების შემდეგ, ტიაგო ალკანტარა უახლოესი კვირების გატარებას ჰანსი ფლიკის სამწვრთნელო შტაბთან ერთად აპირებს, რათა მწვრთნელის როლში გამოცდილება შეიძინოს. სავარაუდოდ, ჩვენი ყოფილი ფეხბურთელი აქ მთელი ზაფხული დარჩება და შესაბამისად, „ბარსელონასთან" ერთად აშშ-ს ტურნეში გაემგზავრება, _ ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

ალკანტარამ კარიერის დასრულების შესახებ 8 ივლისს გამოაცხადა. მისი ბოლო კლუბი ინგლისური „ლივერპული" იყო. მანამდე, ესპანელი 2013-2020 წლებში „ბაიერნში" თამაშობდა.

## ტეიტუმმა გაიხსენა, როგორ ვერ მიიღო ბავშვობაში ლებრონისგან ავტოგრაფი

„ბოსტონ სელტიქსის" ერთ-ერთმა ლიდერმა ჯეისონ ტეიტუმმა გაიხსენა, როგორ არ მისცა ბავშვობაში ავტოგრაფი ლეგენდარულმა ლებრონ ჯეიმსმა.

_ ეს ისტორია მრავალი წლის წინ, მემფისში მოხდა. მაშინ 11 წლის ვიყავი, ლებრონი კი, იმ პერიოდში „კლივლენდ კავალიერსში" თამაშობდა. მაშინ, ლარი ჰიუზიც იქ იყო, მამაჩემის საუკეთესო მეგობარი. იმ მატჩზე დედამ წამიყვანა. ლებრონთან ფოტოს გადაღება და მისგან ავტოგრაფი მსურდა. ბევრი ხალხი იყო და ამიტომაც, მან თქვა, რომ უნდა წასულიყო. მანქანაში ვტიროდი, მაგრამ ახლა, ჩვენ შორის ყველაფერი ნორმალურადაა, _ აღნიშნა ტეიტუმმა.



ჯეისონის სიტყვებს ლებრონი გამოეხმაურა:

_ ჩემგან ავტოგრაფი გსურდა, მაგრამ ვერ მიიღე? ალბათ ამიტომ გადაწყვიტე კონფერენციის ფინალში ჩემთვის თავს ზემოთ ბურთი გადაგეტენა, _ სიცილით უპასუხა ჯეიმსმა.

## რონალდინიომ მაიკლ ჯორდანთან პირველი შეხვედრა გაიხსენა

კატალონიური „ბარსელონასა" და ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა რონალდინიომ ლეგენდარულ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანთან პირველი შეხვედრა გაიხსენა.



ისინი ერთმანეთს 2006 წელს ბარსელონაში შეხვდნენ და მაიკლმა ბრაზილიელს სპორტული ფეხსაცმელი Nike Air Jordan 21 XXI PE აჩუქა.

_ ეს რაღაც განსაკუთრებული იყო და ჯორდანს როცა ხვდები, სხვაგვარად ვერც იქნება. ეს დაუვიწყარი დღე იყო. იმ სპორტულ ფეხსაცმელს დღემდე ვინახავ. მაიკლი ერთ-ერთი უდიადესი ადამიანია მათ შორის, რომლებსაც ცხოვრებაში შევხვედრივარ, _ ამბობს რონალდინიო.

## ბექა ბურჯანაძემ ლეიმა კორუნასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი ბექა ბურჯანაძე ასპარეზობას მომდევნო სეზონშიც ესპანურ „ლეიმა კორუნაში“ გააგრძელებს.

გასულ სეზონში ბექას გუნდმა ესპანეთის რანგით მეორე დივიზიონი მოიგო და ლიგა ენდესაში ალზევდა.

30 წლის ქართველ ფორვარდთან კონტრაქტის გაგრძელების შესახებ ლაკორუნიულმა კლუბმა ოფიციალურად გამოაცხადა.

შეგახსენებთ, რომ „ლეიმა კორუნაში“ ახლახან, ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი კალათბურთელი რატი ანდრონიკაშვილიც გადავიდა.



გასულ სეზონში ბურჯანაძემ გუნდის შემადგენლობაში 27 შეხვედრა ჩაატარა. საშუალოდ მატჩში პარკეტზე გატარებულ 22:08 წუთში იგი 9,2 ქულას, 4,9 მოხსნასა და 1,5 პასს აგროვებდა. სარგებლიანობის საშუალო კოეფიციენტი კი, 12,3 ჰქონდა.

## უნაი სიმონი სეზონის სტარტს გამოტოვებს

„ბილბაოსა“ და ესპანეთის ნაკრების მეკარე უნაი სიმონი მაჯის ტრავმის გამო, ოპერაციას გაიკეთებს. მას დაზიანება მთელი ევრო-2024-ის განმავლობაში აწუხებდა.

ესპანური მედიის ინფორმაციით, ქირურგიული ჩარევის შემდეგ, სიმონი მოედანზე მხოლოდ ოქტომბერში დაბრუნდება.

ევროპის ჩემპიონატზე სიმონმა 6-ვე მატჩში ითამაშა და 4 გოლი გაუშვა. მან 2 მატჩში შეინახა კარი მშრალად და 1 პენალტი მოიგერია. უნაის საუცხოო სეზონი ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა, იგი ლა ლიგის წლის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.




## ტორინოში საზონოვის კონკურენტი გამოჩნდა

საბა საზონოვის „ტორინოში“ „ლას პალმასის“ ცენტრალური მცველი საულ კოკო დაიმატა.



25 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ ტურინელებმა 7,5 მილიონი ევრო გადაიხადეს და მას 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. გასაგებია, რომ კოკო საბას კონკურენტი იქნება.

გვინეის ნაკრების ფეხბურთელი „ლას პალმასის“ ღირსებას 2020 წლიდან იცავდა. 76 მატჩში მან 2 გოლი გაიტანა.

## რაფაელ ნადალი: ლეო ბორგთან მატჩის წინ, მამამისს რამდენიმე რჩევა ვთხოვე

### რაფა წლევანდელ US Open-ზე ითამაშებს

„დიდი მუზარადის“ ტურნირების 22-გზის გამარჯვებულმა რაფაელ ნადალმა შვედურ ბოსტადში მიმდინარე 250-იანი კატეგორიის თიხნარსაფარიან ტურნირზე ლეგენდარული ბიორნ ბორგის 21 წლის შვილის, ლეოს დამარცხების შემდეგ, კომენტარი გააკეთა.

ესპანელმა იხუმრა, რომ წარმატება მას მატჩის წინ, ლეოს მამასთან კონსულტაციამ მოუტანა.

– ვფიქრობ, მან კარგი მატჩი ჩაატარა და წინ დიდი მომავალი აქვს. ასე რომ, მხოლოდ წარმატებებს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. როგორც იცით, ბიორნ ბორგი ლეივერის თასზე ჩემი კაპიტანია და ამიტომაც, სატელეფონო საუბრისას, ამ მატჩისთვის რამდენიმე რჩევა ვთხოვე. თანაც, ეს იმიტომ მჭირდებოდა, რომ ბოლო 2 თვე არ მითამაშია. თავდაჯერებულობის განსამტკიცებლად გამარჯვებები მჭირდება და ამიტომაც, თუ ბიორნი კარგი კაპიტანია, დღეს ჩემ მხარეს უნდა ყოფილიყო, – სიცილით თქვა ნადალმა.

როგორც გაირკვა, ნადალი წლევანდელ US Open-ზე გამოსვლას გეგმავს. ჩოგბურთელი დაცული რეიტინგით ისარგებლებს. ამის შესახებ Olly Tennis-ი იუწყება.

ლეგენდარული ესპანელისთვის ეს პირველი US Open-ი იქნება 2022 წლის შემდეგ, როდესაც მეოთხე წრეში ამერიკელ ფრენსის ტიაფოსთან სენსაციურად დამარცხდა.



## ობამეიანგმა მარსელი დატოვა. კლუბი გრინვუდს შეუთანხმდა

„მარსელის“ ფორვარდმა პიერ ემერიკ ობამეიანგმა კლუბიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა.

შეგახსენებთ, რომ ახლახან, როდესაც გიორგი მიქაუტაძეს „მარსელს“ უკავშირებდნენ, იგი სწორედ ობამეიანგის მემკვიდრედ მოიაზრებოდა.

– ემოციებით სავსე წელიწადი მქონდა. მადლობას ვუხდი კლუბს, მთელ პერსონალს, ჩემ თანაგუნდელებს და გულშემატკივრებს. თქვენ მე გამაძლიერეთ და ეს მოგონებები სამუდამოდ ჩემთან დარჩება. „მარსელი“ მუდამ იქნება ჩემი სახლი, – განაცხადა გაბონელმა ფეხბურთელმა.

35 წლის ობამეიანგი „მარსელში“ 2023 წელს ლონდონის „ჩელსიდან“ გადავიდა. საფრანგეთის ლიგა 1-ის გასულ სეზონში ჩატარებულ 34 მატჩში მან 17 გოლი გაიტანა და 8 საგოლე პასი შეასრულა. კლუბთან მოქმედი კონტრაქტი ობამეიანგს 2026 წლამდე აკავშირებდა.

გუშინვე, ჟურნალისტი დევიდ ორნშტეინი იუწყებოდა, რომ „მარსელმა“ „მანჩესტერის“ ფორვარდ მეისონ გრინვუდთან კონტრაქტი შეათანხმა. ფეხბურთელი გასულ სეზონში იაჯრით ესპანურ „ხეტაფეში“ თამაშობდა. „მარსელი“ „მანჩესტერს“ 31,6 მილიონ ევროს გადაუხდის.



მკურნალობა მამაკაცებისთვის:

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი შარდვისას, ვირუსული და ვენერიული დაინფიცირება, უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა ბავშვებსა და მოზრდილებში, ასევე ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენებების გარეშე 100%-იანი გარანტიით.

ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65

ექიმი მზია

მის: ალმაშენებლის №154 „მწვანე ოფისი“

# Il Mattino: ნაპოლი ხვიჩა კვარაცხელიას სხვა გუნდში არ უშვებს

## იტალიური გამოცემის ვერსიით, ნაპოლი ხვიჩას წელიწადში მხოლოდ 3,5 მილიონ ევროს სთავაზობს



იტალიური გამოცემა „ილ მატინო" „ნაპოლიში" ხვიჩა კვარაცხელიას მომავალთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს.

მასში ნათქვამია, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე ძალზე უკმაყოფილოა ხვიჩასთან დაკავშირებით არსებული გაუგებრობით და კლუბის ხელმძღვანელობას გადამჭრელი ზომების მიღებისკენ მოუწოდებს. კერძოდ კი, იტალიელმა სპეციალისტმა ქართველ ფეხბურთელს ულტიმატუმი წაუყენა. იმ შემთხვევაში, თუ კვარა „ნაპოლისთან" კონტრაქტს არ გააგრძელებს, ის მაინც დარჩება კლუბში და ძველი ხელშეკრულების პირობებით თამაში მოუწევს.

„ილ მატინო" იმასაც წერს, რომ სინამდვილეში, „ნაპოლი" კვარაცხელიას ახალი კონტრაქტით არა 5,5 მილიონ ევროს, არამედ 3,5 მილიონს სთავაზობს. ქართველი ფეხბურთელის მხარე პასუხისგან ჯერჯერობით, თავს იკავებს, მაგრამ ასე მუდმივად ვერ გაგრძელდება და მხარეებს შორის შეხვედრა კასტელ დი სანგროს ბაზაზე მომდევნო კვირაში უნდა გაიმართოს.

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელია შვებულებაშია და გუნდს 25 ივლისს უნდა დაუბრუნდეს. „ნაპოლიმ" კონტეს ხელმძღვანელობით შეკრება უკვე დაიწყო და პირველ ამხანაგურ მატჩში სამოყვარულო „ანაუნეს" 4:0 სძლია.

## ოსიმენი პსჟ-ს უახლოვდება

ფრანგული პსჟ „ნაპოლის" ფორვარდ ვიქტორ ოსიმენის ტრანსფერზე მოლაპარაკებებში წინ მიიწევს.

როგორც ჟურნალისტი ფაბრიციო რომანო იუწყება, პსჟ-მ ოფიციალურად დაადასტურა საკუთარი ინტერესი, ხოლო ოსიმენი პარიზში გადაბარგებისთვის მზადაა, თუ კლუბები გარიგებას შეათანხმებენ.



პსჟ-ში ოსიმენის სავარაუდო გადასვლის შესახებ უკვე დიდი ხანია წერენ. როგორც ცნობილია, პარიზელები ინტერესს ხვიჩა კვარაცხელიას მიმართაც ავლენენ. პსჟ ორივეს სანაცვლოდ „ნაპოლის" 200 მილიონ ევროს სთავაზობს.

ნიგერიელს ნეაპოლელებთან მოქმედი კონტრაქტი 2026 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. გასულ სეზონში 25 წლის ოსიმენმა ყველა ტურნირზე ჩატარებულ 32 მატჩში 17 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი შეასრულა. პორტალი „ტრანსფერმარკტი" მას 100 მილიონ ევროდ აფასებს.

## ლეონარდო სპინაცოლა: მე და კვარა ფლანგზე თამაშით კარგად გავერთობით

„ნაპოლის" ახალწვეულმა მცველმა ლეონარდო სპინაცოლამ მედიის წარმომადგენელთა შეკითხვებს უპასუხა.

„რომას" ყოფილმა ფეხბურთელმა თავის ახალ გუნდზე ისაუბრა, ერთ-ერთი შეკითხვა კი, მარცხენა ფლანგზე ხვიჩა კვარაცხელიასთან ერთად თამაშს შეეხებოდა:

– კვარაცხელიასთან ერთად თამაშს მოუთმენლად ველი. ეს ჩემთვის ძალზე საინტერესო იქნება. ვფიქრობ, მეტოქის კართან უფრო ახლოს თამაში შემიძლია. დარწმუნებული ვარ, ფლანგზე კარგად გავერთობით, – აღნიშნა სპინაცოლამ.

მცველი „ნაპოლიში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა მას შემდეგ, რაც „რომასთან" კონტრაქტი ამოეწურა. მან ნეაპოლელებთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.





## მოდრიჩმა რეალთან კონტრაქტი ერთი წლით გააგრძელა

მადრიდის „რეალმა" საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე 38 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ ლუკა მოდრიჩთან მოქმედი კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ გამოაცხადა. ხორვატ ფეხბურთელთან ახალი შეთანხმება 2025 წლის ზაფხულამდე იმოქმედებს.




ლუკა მოდრიჩი „რეალში" 2012 წელს ლონდონის „ტოტენჰემიდან" გადავიდა. გასულ სეზონში ვეტერანმა ნახევარმცველმა ყველა ტურნირზე „ბლანკოსის" მაისურით ჩატარებულ 46 მატჩში 2 გოლი გაიტანა და 8 საგოლე პასი შეასრულა. კლუბთან წინა ხელშეკრულება მას ივნისის ბოლოს ამოეწურა.

მოდრიჩის გადაბირებით საუდის არაბეთის კლუბები ინტერესდებოდნენ, მაგრამ უარი მიიღეს.

## ბარსა არაუხოსა და პედრის ტრავმებზე უეფასგან 3,2 მილიონ ევროს მიიღებს

„ბარსელონა" ფიფას კლუბების დაცვის პროგრამას მიმართავს, რომელიც კომპენსაციის მიღების საშუალებას იძლევა მაშინ, როდესაც ფეხბურთელები მათი ნაკრებების მატჩებში ტრავმებს იღებენ.

კატალონიელების მცველი რონალდ არაუხო კოპა ამერიკაზე ბრაზილიასთან მატჩში მიღებული ტრავმის გამო, დაახლოებით 4 თვე ვერ ითამაშებს. „ბარსელონა" დაახლოებით 2,5 მილიონ ევრო კომპენსაციას მიიღებს.

ასევე ტრავმირებულია ნახევარმცველი პედრი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გერმანიასთან შეხვედრაში (2:1) დაშავდა. კატალონიელებს ამის გამო, მინიმუმ 700 ათას ევროს გადაურიცხავენ.



ISSN 2720-8079

გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №5988
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru